განმარტებები 2023 წლის 15 მარტის N6367180 გადაწყვეტილებით დადგენილ ხარვეზებთან დაკავშირებით:

01. კონსტრუქციული პროექტი ატვრითულია ფაილის მიმაგრების ველში.

01'. განმარტებითი ბარათის ველში მითითებულია ყველა ბლოკის ტექ.ეკონომიკური მაჩვენებლები ცალცალკე, ანგარიშს ვხვდებით ვექტორულ ფაილშიც.

02. წარმოგიდგენთ ჯივიპის პოზიციას.

03. წარმოგიდგენთ განახლებულ გენგეგმას სადაც დატანილია ყველა საჭირო ინფორმაცია ამასთან ცალკე ვტვრითვავთ გენგემას სადაც დატანილია გრგ მიხედვით შენობის კონტურები და წარმოსახვით მიჯნები; წარმოგიდგენთ საყრდენი კედლების განშლას და გრუნტის ცვლილების გეგმა.

04. წარმოგიდგენთ წერილს ურბანულიდან, რომლის მიხედვითაც პროექტში შეტანილი დაზუსტებები არ არის არსებითი ხასიათის და არ საჭიროებს გრგ კორექტირებას; დაწეულია კიბის უჯრედის მოცულობის სიმაღლე; წარმოდგენილია ავტოსადგომების აუცილებელი რაოდენობის დათვლის მიზნით გაკეთებუი კროკები. (ჯამში აუცილებელია 123 ადგილი, ნაკვეთზე კი ვხვდებით 144 ავტოსადგომს, 6 მათგანი მისაწვდომია, საიდანაც 1 გათვლილია მიკროავტობუსისთვის)

05. -1 სართულის განშლები გაკეთებულია, 0 სართული გამოდის მიწისპირა.

06. ფართები დათვლილია 255 დადგენილების შესაბამისად; ამასთან წარმოგიდგენთ აივნის კროკებს, რომელთა ფართი არ აღემატება კ2 საანგარიშო ფართის 20%-ს.

ლოჯიების კ2 კოეფიციენტში ანგარიშთან დაკავშირებით - განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების თანახმად ლოჯია განმარტებულია, როგორც შენობის ფასადში შეჭრილი, გადახურული, სამი მხრიდან კედლებით შემოსაზღვრული და ფასადის მხრიდან გახსნილი და მოაჯირით შემოკავებული სამყოფი. (ლოჯიის უფრო დახვეწილ და დაზუსტებულ განმარტებას ვხვდებით 261-ე დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც ლოჯია არის შენობის საანგარიშო ზედაპირიდან მის მოცულობაში შეჭრილი, არაკონსოლური საზაფხულო სამყოფი)

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობას არ აქვს ლოჯიები, ყველა საზაფხულო ფართი არის კონსოლური - აივანი, შესაბამისად მას არ მოუწევს კოეფიციენტში ანგარიში.

ამასთან თქვენი ხარვეზის მიხედვით ვაზუსტებთ აივნებზე განთავსებულ საქვაბეებს და განგიმარტავთ, რომ ხსენებული მონაკვეთები არის ღია (ნიშებს, სადაც განთავსდება გათბობა-კონდიცირების აგრეგატები ექნება ღია, ცხაურიანი კარი. ვფიქრობთ აღნიშნული აუცილებელია შენობის ერთიანი იერსახის დაცვის მიზნით და პრევენციას უკეთებს მოსახლეობის მხრიდან მომავალში ინდივიდუალურად კარადებისა და კარების დაყენებას)

კ1-ში შეყვანილია იატაკის ზედაპირის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობი (მათ შორის აივნები), რაც შეეხება ტრაპეციის მქონე საქვაბის წინა ნაწილს იქ არ ვხვდებით იატაკს; დაკლებულია კიბის უჯრედის სიმაღლე (სუფთა სიმაღლე გამოდის 2.2)

07. საინჟინრო ნაწილი გაერთიანებულია და ატვრითულია ფაილის მიმაგრების ველში, ამასთან გაცნობებთ, რომ სადარბაზოს ნაწილში არ ვხვდებით არანაირ გაყვანილობას გარდა სადარბაზოს განათებისა.

08. სატრანსპორტო სქემები დამუშავების პროცესშია.

09.წარმოდგენილია განახლებული ბანერის ფოტოები,

10.მოსაკრებელი დაემატა საყრდენი კედლისთვის.

11.წარმოდგენილია კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების მდგრადობისა და მშენებლობის მათზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.

12. წარმოდგენილია დაზუსტებული გეოლოგიური დასკვნა.